მოსკოვსა და ალმა–ათაში

26 მარტს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის 49–ე ჩემპიონატის IV ტურის მატჩები. საქართველოს ორივე გუნდი კლავ სტუმრად თამაშობდა: თბილისის დინამოელები მოსკოვში შეხვდებიან ადგილობრივ „ტორპედოს“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები – ალმა–ათის „ქაირათს“

თბილისელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი მოსკოვში, „ტორპედოს“ სტადიონზე. ეს ორი გუნდი ტრადიციულად მუდამ საინტერესოდ, უშეღავათოდ თამაშობს ერთმანეთთან და გამონაკლისს არც 23 მარტის მატჩი წარმოადგენდა.

დინამოელებმა დიდი მონდომებით, აქტიურად, კოლექტიურად წარმართეს თამაში. მოსკოველები შეეცადნენ მინდვრის შუაგულში მოეპოვებინათ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა, მაგრამ სტუმრებმა სწორი გეგმა აირჩიეს: მათ შორის, გადაცემებით გაჰყავდათ მეტოქის კარის წინ სახიფათო თავდამსხმელები ჩელებაძე და გაზაევი, ამავე დროს შეტევას დაუყოვნებლივ უერთდებოდნენ კაკილაშვილი, ჭედია, გოგრიჭიანი...

პირველ წარმატებას თბილისელებმა შესვენებამდე მიაღწიეს. ერთ–ერთი მწვავე კონტრშეტევის დროს, რომელშიც რამდენიმე მოთამაშე მონაწილეობდა, ბურთი მიიღო ჩელებაძემ და ძნელი მდგომარეობიდან, მოტრიალებით ზუსტად დაარტყა მიზანში – 1:0.

ტორპედოელებს თამაშის გეგმა არც მეორე ტაიმში შეუცვლიათ. ისინი კვლავ მინდვრის შუაგულში ცდილობდნენ უპირატესობის მოპოვებას. დინამოელები კი კვლავინდებურად უქმნიდნენ სახიფათო მომენტებს გაზაევსა და ჩელებაძეს. ამ საინტერესო ტაქტიკურ ბრძოლაში თბილისელთა გეგმა უფრო გამართლებული, უფრო რეალური აღმოჩნდა, ამასთან საიმედოდ მოქმედებდა გუნდის დაცვა, რომელსაც სათავეში გამოცდილი სულაქველიძე ედგა. მართალია, მოსკოველებსაც ჰქონდათ სახიფათო მომენტები, ძალზე ძნელი ბურთების მოგერიება მოუხდა გაბელიას, მაგრამ ერთ–ერთი მორიგი იერიშისას მარჯვენა ფრთიდან მოწოდებული გადაცემა კარგად მიიღო ჩელებაძემ და შეუჩერებლად გაგზავნა ბურთი მეკარე ხარინის კარში – 2:0.

დარჩენილ დროში გაზაევმა ახლო მანძილიდან კარს ზემოთ ააცილა ძლიერი დარტყმა, მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კი შავლომ ძელს მოახვედრა ბურთი.

თბილისის „დინამომ“ ღირსეულად ჩაატარა ტურის ეს ძნელი შეხვედრა და მეტოქის მინდორზე მეტად საჭირო გამარჯვებას მიაღწია. კოლექტივმა, უდავოდ, მთელი შემადგენლობით ერთსულოვნად, თავგამოდებით და კვალიფიციურად ითამაშა.

გუნდების შემადგენლობა: „ტორპედო“: ხარინი, სოჩნოვი (გრიშინი), პივცოვი, გოსტენინი, შავეიკო, შავლო, ი. სავიჩევი, ნ. სავიჩევი, ბურიაკი (გრეჩნევი), პოლუკაროვი, რედკოუსი; „დინამო“ – გაბელია, კეტაშვილი, მიქაბერიძე, ჭედია,

კუდინოვი, კაკილაშვილი, მახარაძე, სულაქველიძე, გოგრიჭიანი, გაზაევი (ცაავა), ჩელებაძე (მესხი). მსაჯი მ. სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი). დუბლიორთა შეხვედრაც დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა – 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჯოხაძემ და გურულმა.

ლელო 26.03.1986